საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი
VICE PRIME MINISTER, MINISTER OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

N 01/20339

15/05/2018

20339-01-2-201805150935

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 8 მაისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის რიგით 57-ე სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2018 წლის ნოემბრის ბოლომდე საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის შემუშავებასა და მისი ევროპული მხარისთვის წარდგენასთან დაკავშირებით.

საგზაო რუკის შემუშავება მოიაზრებს საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური და სექტორული თანამშრომლობის არსებული მექანიზმების, მათ შორის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობას და ასევე, აღნიშნული შეთანხმების მიღმა არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და რეალიზებას.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში, გათვალისწინებულია დარგობრივი უწყებების აქტიური ჩართულობა, ინსტიტუციურ დონეზე ჩამოყალიბებული საკონსულტაციო/სამუშაო ფორმატების საშუალებით. კერძოდ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება **მინისტრის მოადგილეების** დონეზე და 4 თემატური სამუშაო ქვეჯგუფის ჩამოყალიბება შესაბამისი **დეპარტამენტის ხელმძღვანელების** დონეზე:

1) ქვეჯგუფი პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე;
2) ქვეჯგუფი ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებში მონაწილეობის საკითხებზე;
3) ქვეჯგუფი ასოცირების შეთანხმების განხორციელების, სექტორული ინტეგრაციისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებზე;
4) ქვეჯგუფი საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობის ანალიზის საკითხებზე.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ DCFTA-ის თემატიკასთან დაკავშირებული მიმართულებების კოორდინაცია განხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში უკვე არსებული DCFTA-ის სამუშაო ფორმატების საშუალებით.

გთხოვთ, მიმდინარე წლის 21 მაისამდე, წარმოგვიდგინოთ კანდიდატურა სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად და ასევე კანდიდატურა/ები მეორე, მესამე და მეოთხე სამუშაო ქვეჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, საგარეო საქმეთა სამინისტროდან საკონტაქტო პირია ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, დავით ბუჯიაშვილი (dbujiashvili@mfa.gov.ge, ტელ.: 577 100 507).

დანართი:

- საგზაო რუკის კონცეფცია (3 გვ);
- პრეზენტაცია საგზაო რუკის შესახებ (6 გვ).

პატივისცემით,

მიხეილ ჯანელიძე